საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნ.
საკოორდინაციო ცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიცია და თანამედროვეობა. 4.

ჯულიეტა რუხაძე

ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1980

სკან-2000
დამოწმებულია

(С 41)
.5(2 Г)
4(47.922)
ر 97

1) ქართველების ეთნოგენეზი
2) ქართული ხალხური დღესასწაულები

ბროშურაში მკითხველი გაეცნობა ქართველთა ტრადიციული ყოფის ერთ-ერთ ხალხურ დღესასწაულს — ბერიკაობა-ყეენობას ქართველი ხალხის ისტორიის სხვადასხვა ეპოქების ამსახველი რიტუალებითა და ჟანრული სცენებით.

ამასთან დასმულია ხალხური დღესასწაულის ზოგიერთი ტრადიციის აღდგენისა და დაცვის, მასში თანამედროვეობის ამსახველი დეტალების შეტანისა და დამკვიდრების საკითხი.

К 173222

სერიის სარედაქციო კოლეგია: დოც. მ. კეკელია, პროფ. შ. ნადირაშვილი, პროფ. ალ. რობაქიძე (თავმჯდომარე) აკად. ალ. ფრანგიშვილი, ისტ. მეცნ. კანდ. ლ. ფრუიძე (მდივანი), პროფ. ვ. ქვაჩახია, პროფ. მ. ჩიქოვანი, პროფ. ნ. ჭავჭავაძე, აკად. შ. ძიძიგური.

ნაკვეთის რედაქტორი აკად. ბ. ჩიტაია.

ر $\frac{10602}{М\ 607(06)-80}$ 166—80

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1980

ა. ჭარაქსის ს.ს. სახ.
ხსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა

ქართული ხალხური დღესასწაულები, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ეროვნული ენერგიისა და ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოსახულებაა. თუ ძეგლების მიხედვით ჩვენ ვსწავლობთ წარსული ეპოქის ხელოვნებას, სამშენებლო ტექნიკას, ვარკვევთ ხალხური ოსტატების ნიჭსა და უნარს, დღესასწაულების გამოვლენასა და მათ დაცვას ასევე საიმედოდ მივყავართ ერის ზნეობრივ სიმდიდრეთა გამომჟღავნებისაკენ.

დღესასწაულების მოსპობა ისეთივე დანაკლისია ეროვნული კულტურისათვის, როგორც ისტორიული ძეგლების განადგურება. ამიტომ ხალხურ დღესასწაულებს ისევე უნდა მოვლა და დაფასება, როგორც სხვა ფასდაუდებელ საუნჯეს (ხალხურ პოეზიას და მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლს).

ერის სულიერი კულტურის შესწავლა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით ხერხდება. ეთნოგრაფები უფრთხილდებიან დანატოვარ უმცირეს რელიქვიას, მის ყოველ კვალს უვლიან და თავს ევლებიან. ამასთანავე კულტურის მონაპოვართა შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს სისტემატურ ხასიათს აძლევენ. მიუხედავად ამისა, საუკუნეების წინ შექმნილი დღესასწაულები და ყოფის სხვა რეალიები, რაც ერის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია, ჩვენ თვალწინ ქრება, ჩვენ კი არ გვაქვს მათი დაცვის სათანადო სრულყოფილი შესაძლებლობა.

როდესაც ვლაპარაკობთ ქალაქისა თუ სოფლის კოლორიტის შენარჩუნებაზე, პრაქტიკულად ის უნდა გავაკეთოთ, რომ არ დავკარგოთ წინაპართა დანატოვარი განძი, რომელიც ერის კულტურის საფუძველია. ასეთად კი სხვასთან ერთად დღესასწაულებიც მიგვაჩნია, რომელთაგან ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი თავისი სპეციფიკური ბუნების გამო (გრანდიოზულობა, თეატრალურობა და სიმახვილე) ბერიკაობა-ყეენობაა.

დღეს, როდესაც მრავალი ხალხური დღესასწაული სამუდამო მივიწყებას მიეცა, ბერიკაობა-ყეენობა მისთვის ნიშანდობლივი მასობრივი თეატრალიზებული ხასიათის გამო საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს დიდხანს შემორჩა, როგორც ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი კოლორიტული ელემენტი.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა განვითარების ისეთი ეტაპი, ამ დღესასწაულში გამოძახილი და ასახვა რომ არ ეპოვოს. მართალია, დროთა განმავლობაში იცვლებოდა მისი შინაარსი, პერსონაჟები, მაგრამ ბუნება მაინც უცვლელი რჩებოდა. აქ ვლინდებოდა ქართველი ხალხის მსოფლმხედველობა, მისი ჭირვარამი და სიხარული, სოციალური ჩაგვრა და მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ. ყოველი ახალი ისტორიული ვითარება ფორმას უცვლიდა დღესასწაულს, იგი ხან ქართველი მეფე-დედოფლის გამარჯვებას ასახავდა, ხან შაჰ-აბასისა და მურვან-ყრუს შემოსევას, დღესასწაულში ბევრჯერ იყვნენ წარმოდგენილი ბისმარკი და გენერალი ბულანჟე, მეფის მთავრობის უნიჭო გენერლები, პოლკოვნიკები, ჟანდარმები და სხვ.

ბერიკაობა-ყეენობაში ხალხი გულიანად დასცინოდა ყოველივე უარსაყოფს, სიცილით ამარცხებდა ბოროტებას (სანახაობის მონაწილენი ყაენს ვირზე უკუღმა სვამდნენ და მერე წყალში აგდებდნენ, საიდანაც იგი გაწუწული ამოდიოდა და სხვ.).

დღესასწაულში რელიგიური სინკრეტიზმის სახით იყო მოცემული ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, სადაც ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სძლევდა და უძველეს მდიდარ რწმენასა და კულტებს შეიცავდა.

ბერიკაობა-ყეენობა ბუნების აღორძინებისადმი განკუთვნილი დღესასწაული იყო და აგრარული კულტმსახურების ელემენტებსაც შეიცავდა. ამასთანავე იგი წარმოადგენდა მოზღვავებული ახალგაზრდული ენერგიის და სიხარულის გამოვლენას მომავალი ხვავრიელი წლისა და განახლებული სიცოცხლის საწინდრად, რაც ჭეშმარიტად საერთო-სახალხო თავაწყვეტილი მხიარულებით ვლინდებოდა. აქ წარმოდგენილ რიტუალებში ჩანდა მემინდვრეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, მოსავლის დასაბევებელი ხერხები და მდიდარი სამიწათმოქმედო ტრადიციები. დღესასწაულის აუცილებელი ელემენტი იყო ცხოველებისა თუ ადამიანის გამომსახველი სხვადასხვა ეპოქისა და დროის შესაბამისი ნიღბები და ნაირფეროვანი ტანსაცმელი, მისთვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე საწესჩვეულებო ცეკვები და ეროტული სცენები.

სურ. 1. ბერიკაობა სოფლად. ნახ. ლ. გუდიაშვილისა

ბერიკაობა-ყეენობაში მთავარი კიდევ ის არის, რომ იგი თავისუფალი და შეუზღუდავი დღესასწაულია, რომელიც არც სივრცითაა შებოჭილი და არც დროით, მისთვის მთავარია ზეიმი, როგორი ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს იგი. ამ ზეიმის მონაწილეა ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში ქართლ-კახეთის სოფლებში კაცს შეეძლო ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაული ენახა. თუმცა იგი იმ დროისათვის ადრინდელ ბრწყინვალებას მოკლებული იყო, მიმზიდველობა მაინც არ დაჰკარგოდა.

ეს დღესასწაული მუდამ იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას და დღესაც არ შენელებულა მისდამი ინტერესი; იგი ჩვენი ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ლიტერატორების, ხელოვნების მცოდნეებისა და მხატვრების შთაგონების უშრეტი წყაროა.

ბერიკაობა დიდი ხანია დაცლილია ყოველგვარი ცრურწმენისაგან; იქ მოლექსეობას კაფიაობა სცვლის, კაფიაობას — ზურნა-დუდუკი, გუდასტვირი, ჭიდაობას — დოღი და ფერხული, ფერხულს— ცეკვა, წყლით წუწაობა და სხვ. ეს დღესასწაული გართობასთან ერთად ერთგვარი სპორტია — ლაღი და მხიარული.

აი, ამ სილაღისა და შეუზღუდველობის გამო XIX ს. მეორე ნახევრიდან ყეენობა ხელისუფლებამ უარყო. ქალაქ თბილისის ადმინისტრაცია ამ წეს-ჩვეულების შეცვლას შეეცადა, ხოლო შემდეგ მთლიანად აკრძალა, მაგრამ ხალხი თავის საყვარელ სანახაობას მაინც ვერ შეელია და ზოგჯერ ქალაქგარეთ მალულად მართავდა; მას „ყეენობის კუდი“ დაერქვა და ხანდახან მის მოწყობაზე ნებართვის გამოთხოვა სჭირდებოდათ. გაზეთ „დროებაში“ (1885, № 53) გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, დღესასწაული პოლიციის ზედამხედველობით ტარდებოდა, თუმცა ადგილობრივი ადმინისტრაცია მაინც ცდილობდა მის ჩაშლას.

ქალაქის ინტელიგენცია მხარს უჭერდა ყეენობის შენარჩუნებას; 1894 წ. გამართულ „ყეენობის კუდში“ ბანკის წარმომადგენლებთან ერთად ილია ჭავჭავაძესაც მიუღია მონაწილეობა.

წარსულის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვამ გვაფიქრებინა სწორედ ამ მრავალ ქარტეხილგამოვლილი დღესასწაულის აღდგენა, მისი ძველი ბრწყინვალების გამოვლინება. თუ ბერიკაობა აღდგება, შეიძლება აღდგეს ჭიაკოკონობაც, ახალი წელი ჩიჩილაკით და რიტუალური პურებით; ღვეზელი და აგუნას პური, მუცლის სალოცავი თუ ქათმის კვერი, ვაზისა და ბასილას პური, ხარის კისერი და ჩერია-თითისტარის კვერი დიდ სიხარულს ანიჭებდა ყველას.

ჩიჩილაკი მრავალტოტიან ხეს განასახიერებდა და ზედ ჩამოკიდებული სამკაულებით სიმბოლურად გამოხატავდა კეთილდღეობას, სიუხვეს, სიცოცხლის განახლება-აღორძინებას. იგი უკავშირდებოდა ქართველთა უძველეს წარმოდგენებს სიცოცხლის ხის შესახებ, რომლის თანახმად ხე ქვეყნიერების აგებულებისა და მისი მუდმივი კვდომა-განახლების სიმბოლო იყო.

რიტუალური პურები „პროფესიის" მიხედვით მზადდებოდა, ზოგიც ფრინველს და საქონელს ეკუთვნოდა, მათი გამრავლებისათვის, მომავალი წლის სიუხვის დასაბეგებლად კეთდებოდა. ეს იყო წარმართული ახალი წლის უძველესი ზეიმი, რომელიც შემდეგ ქრისტიანულმა რელიგიამ სათავისოდ დაიმკვიდრა.

თანამედროვე პირობებში თუ შევიძლებთ საახალწლო დღესასწაულის ტრადიციული ფორმების აღდგენას და ყოფაში დამკვიდრებას, ამით ფრიად სასარგებლო სამსახურს გავუწევთ მომავალ თაობებს, რადგან დღესასწაულის ჭეშმარიტად ხალხური სახე განუმეორებელია თავისი ეროვნული კოლორიტით, პოეტურობით, გამსჭვალულია მრავალსაუკუნოვანი ემპირიული სიბრძნით, ამასთანავე თავისუფალია რელიგიური ფანატიზმისაგან.

ორმოცდაათიან წლებში ეთნოგრაფიის განყოფილებაში (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი) დამკვიდრებული იყო ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია. გვქონდა მცენარეთა ფოთლებით და ნაყოფით, წითელი ვაშლებით და სხვა საგნებით შემკული ჩიჩილაკი, ვაცხობდით კვერებსა და გვყავდა მეკვლე, რა სიხარული მოჰქონდა ამას! ეს იყო ძველი ტრადიციის ნამდვილი აღორძინება, რომელსაც რელიგიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მისი მესვეური რელიგიის ისტორიის დიდი მკვლევარი ვერა ბარდაველიძე გახლდათ, მერე ყველაფერი მივიწყებას მიეცა.

დროთა ვითარებაში დღესასწაულთა დაცვის იდეა თანდათან მომწიფდა. 1960-იან წლებში ბერიკაობა-ყეენობის ბევრი ელემენტი უხვად გამოიყენეს გრემში მოსავლის აღების — რთველის დღესასწაულში, რომლის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს სახელოვან მწერალს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს ლევან გოთუას. ქართველი მწერლობა ბერიკაობა-ყეენობის სათავეში ძველადაც იდგა; როგორც აღვნიშნეთ, იგი იყო თბილისური ყეენობის წინამძღოლი და დამცველი.

ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულს დღითიდღე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება; იგი ბევრი დღესასწაულის ორგანული

ნაწილია. მაგრამ ახალი დღესასწაულები და იქ გამოყენებული ბერიკაობა მოკლებულია ხალხურობას, იქ მსახიობები მონაწილეობენ, მღერიან, კითხულობენ ლექსებს, ცეკვავენ; სულ სხვაა, როდესაც მთქმელი და მონაწილე ამბობს თავის სათქმელს, ილხენს და ცეკვავს. ხალხურ შემოქმედებას ვერ შეცვლის ვერც ვოკალური და ვერც მოცეკვავეთა საგანგებო წრეები, რადგან ქართველი გლეხი საუკუნეების მანძილზე ლექსს თხზავდა, მღეროდა, მოლექსეობდა, კაფიობდა, მახვილს სიტყვას გულიანად ხმარობდა. თუ რა დიდია ჩვენი ფართო საზოგადოების სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი, ეს კარგად გამოჩნდა 1979 წელს, გაზაფხულზე, ხალხური პოეზიისადმი მიძღვნილ საღამოებზე.

ხალხური დღესასწაულების აღდგენისა და დაცვის პრობლემა დღეს არ დამდგარა; ჯერ კიდევ ამ 35 წლის წინ, როდესაც აკად. გ. ჩიტაიამ აკად. ს. ჯანაშიასთან ერთად ღია ცის ქვეშ მუზეუმის გახსნის გეგმა შეიმუშავა (სადაც ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ხალხური ყოფის, მეურნეობის ყველა მხარე; მარან-საწნახელი, საქაჯავი, წყლის წისქვილი და საცეხველი, თონე, სამჭედლო, კერამიკული წარმოება, სახვნელები და სხვ.), მიზნად ისიც დაისახა, რომ ხალხური დღესასწაულები ამ მუზეუმის აქტიური კომპონენტი გამხდარიყო, რომელიც ორგანულად შეერწყმოდა ახალ ცხოვრებას და ამით ხელს შეუწყობდა მათს დაცვას. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად, ალბათ, საჭირო იქნება სხვაგან არსებული ღია ცის ქვეშ მუზეუმების გამოცდილების გაზიარებაც.

მართალია, დღესასწაულის თავდაპირველი მიზანი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალები უკვე აღარ სჭირდებათ ადამიანებს, როგორც წინათ ესაჭიროებოდათ, მაგრამ მისი გრანდიოზულობისა და სხვა კარგი ტრადიციების შენარჩუნების გამო დღესასწაული უნდა დარჩეს როგორც წარსულის მეტყველი სურათი.

ტრადიციათა ყოფაში დანერგვის პრობლემა მწვავედ იდგა XIX ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც დაიწყო ბრძოლა ხატობა-დღესასწაულების მთლიანად მოსპობის წინააღმდეგ. ა. ხახანაშვილი მოითხოვდა, რომ დღესასწაულის ეროვნული მხარე შენარჩუნებულიყო: „...ყველა დღესასწაულს საეროვნო მხარეც აქვს. აი ეს მხარეა ჩვენთვის საჭირო... ქართველს დღესასწაული მარტო ლოცვისა და ვედრებისათვის არ უნდა, „დღეობა“, „ხატობა“ სალხინოდ, საქეიფოდ, დროსგასატარებლად მიაჩნია. ...ხატობაში და დღეობაში თუ ნახავს კაცი ჩვენს საეროვნო ჩვეულებას და ვარჯიშს, მაგ., ცეკვას, ბურ-

თაობას, ჯირითს, ჭიდაობას და სხ. იქვე ცილობენ და ჯიბრობენ მე-მუსიკენი, მეშაირენი, მომღერალნი"[1]...

ამ საკითხს ბევრი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, მწერალი თუ პუბლიცისტი გამოეხმაურა, წერილებში აღნიშნული იყო დღესასწაულის საერო ნაწილის დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობა.

აი, როგორი პასუხი გასცა ა. წერეთელმა გაზეთ „ივერიის" პოლემიკური წერილების ავტორებს: „... ყოველგვარი საერო მოვლინება, აუცილებელ საჭიროებისაგან გამოწვეული, რომელიც კი შეუსისხლხორცებია ხალხს, საუკუნოების განმავლობაში ცხოვრების ბრძმედში გაუტარებია, განსხვავებული ელ-ფერი მიუცია, თავისი საკუთარი ნაციონალური ბეჭედი დაუსვამს ზედ და ისე გადმოუცია ჩამომავლობისათვის, ისეთი ანდერძია და „წმიდათა-წმიდა" ქვეყნისათვის, რომ მისი ვაგლახად ხელის შეხება და წინდაუხედავად გადაგდება წარსულის უარის ყოფაა და, მაშასადამე, სასიკვდილოთაც თავის გადადება... კაცი კი, როგორც გონიერი და უმაღლესი არსება, სათავეს ერთმანეთზე აბამს და აკავშირებს, წარსულიდან გამოჰყავს აწმყო და აწმყოდან ჰსურს წარმოშვას მომავალი"...[2]

ამ წერილებს კომენტარი არ სჭირდება. ყველგან საუკუნეების მანძილზე შექმნილი საეკლესიო ხატობა-დღესასწაულების ხალხური ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებაზეა ლაპარაკი.

დღესასწაულების მოვლასა და მათზე ზრუნვას ზნეობრივი, აღმზრდელობითი მხარე აქვს იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ეხლა ყალიბდებიან მოქალაქეებად; წარსულის მემკვიდრეობაზე ზრუნვა ჩვენს ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა.

ბერიკაობა-ყეენობის აღდგენით ჩვენ გავაცოცხლებთ არა მარტო ნიღბოსანთა ძველ თეატრს, არამედ მესტვირეთა ძველ რეპერტუარს, მოლექსეობის შესანიშნავ ტრადიციებს, კაფიებს, ფერხულებს და სხ. დღესასწაულის დროს შეიძლება მოეწყოს კრივი, ჭიდაობა, დოღი, ბურთაობა, ფარიკაობა, ხელით ნამუშევართა ბაზრობა და სხვ., რაც ასე დამახასიათებელი იყო აღნიშნული დღესასწაულისათვის და რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ხალხური დღესასწაული ისე უნდა გაიმართოს, რომ მას სია-

---

1 „ივერია", 1894, № 82.

2 „ივერია", 1901, № 257..

მოვნებით მიაშუროს თითოეულმა მოქალაქემ. ეს კი შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა სისტემატურად ვიზრუნებთ მასზე და არა მხოლოდ დღესასწაულის წინა დღეს. მხოლოდ კარგად მოფიქრებული და გულმოდგინედ წარმართული საქმიანობით მივაღწევთ სასურველ შედეგს.

ბერიკაობა-ყეენობა საქართველოს ყველა კუთხეში უნდა მოეწყოს; ყველა მხარეს თავის ინდივიდუალური და განსაკუთრებული სათქმელი უნდა ჰქონდეს. დღესასწაულს მაშინ ექნება სოციალური ძალა და მნიშვნელობა, როცა ყველა მონაწილე შეუზღუდავად შესძლებს თავისი ნააზრევის და შესაძლებლობის გამოხატვას.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა წეს-ჩვეულება და რიტუალი დავამკვიდროთ. დღესასწაული უნდა აღდგეს ცალკეული მხარეებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამოვლინების კონკრეტული საშუალებებით, რაც გარკვეულად ხელს შეუწყობს ახალი თაობის ზიარებას ეროვნულ ტრადიციებთან.

ძველი და განახლებული დღესასწაულის ორგანული დაკავშირებისათვის სწორი გზა უნდა გამოინახოს, იგი უნდა იყოს თვითმყოფადი, თავისუფლების, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის მქადაგებელი.

ბერიკაობის გამართვა უნდა დავიწყოთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, დიდ წარმოებებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. ძველი დღესასწაულის კვალზე აქაც უნდა გაითვალისწინონ შიდანაკლოვანებანი, შეაქონ მოწინავენი. დღესასწაული შეიძლება გაიმართოს ახალწელს, გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

დღესასწაულის ყველა მონაწილე ნიღბით და შესაფერისი ტანსაცმლით უნდა მოირთოს. ლხინის დროს ცეკვა-თამაში და სიმღერა, მოლექსეობა, კაფიაობა და სხვ. მხოლოდ ადგილობრივი ძალებით უნდა შესრულდეს. ამ დღესასწაულს არ შეშვენის მოსაწვევი ბარათი, კათედრა, საპატიო პრეზიდიუმი, აქ ყველა: დიდი და პატარა ერთნაირი ხალისით უნდა ჩაებას საერთო ფერხულში.

დღესასწაულის მონაწილემ სასურველია ნიღაბი, ტანსაცმელი და სამშვენისი თვითონ მოამზადოს.

ნიღაბი გამოხატავს ადამიანს ან ცხოველს და სხვადასხვაგვარია: თავზე ჩამოსაცმელი „ქუდ-ნიღაბი," სახეზე ასაფარებელი, თავზე, თვალებზე, ნიკაპსა და ტუჩებზე გასაკეთებელი და ჩასაცმელი ან მოსასხამი ნიღაბ-სამოსი.

ნიღაბის მოსართავად უნდა გამოიყენონ: სხვადასხვა ფრინველის ფრთები, ბუმბული, ბაფთები, წვერ-ულვაშისათვის მატყლი ან ხელოვნური თმა, ხის ქერქი, ნამჯა, ტყავი, გოგრა, ფერადი ან დაჩითული ქსოვილი, ცხოველის თავის ქალა. დედოფლის ნიღაბი: „ლეჩაქი“ და „გვირგვინი“ ძირითადად მარლისა და მძივებისაგან გაკეთდება.

შესამოსავად გამოიყენებენ ძველ ტანსაცმელს, მარლის ქსოვილს; ზოგი ჩოხა-ახალუხსა და კაბა-მანდილს ჩაიცვამს.

სამშვენისებს დაამზადებენ ფერადი ქაღალდისა და მძივებისაგან (შეიძლება რძის პროდუქტების ჭურჭლისათვის განკუთვნილი „საცობის“ გამოყენებაც).

წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებული ბერიკაობის გავლენით, ბუნებრივია, სხვა დღესასწაულების დროს გამოყენებული ბერიკაობის მოდელი თანდათან შეიცვლება და გახალხურდება, გათანამედროვდება. ამის შემდეგ საფუძველი გვექნება მასიური საქალაქო და სასოფლო დღესასწაულის მოსაწყობად.

სასურველია, რომ ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან არსებული ძეგლების ფოტოფიქსაციის სპეციალურმა ლაბორატორიამ იმუშაოს ეთნოგრაფ-სპეციალისტთან ერთად მნიშვნელოვანი დღესასწაულების აღნუსხვაზე და იგი კინოფირზეც გადაიღოს. გადაღებულ მასალას უნდა ახლდეს სათანადო ინფორმაციული ცნობები რამდენიმე ენაზე. ამ გზით შემდეგ თაობებს შესაძლებლობა ექნებათ თავის თვალით იხილონ წინაპართა ნამოღვაწარი.

ცხადია, ყოველგვარი შემოქმედებითი პრობლემის გადაწყვეტა ხელოვნურად და ძალდატანებით შეუძლებელია, ისე კი წამოჭრილი საკითხის მოგვარება სასურველია, თუმცა მისი განხორციელება ბევრ შრომას საჭიროებს.

ბერიკაობა

წინამდებარე წიგნის ფარგლებს სცილდება ბერიკაობა-ყეენობის მეტნაკლებად სრული აღწერა. ჩვენი მიზანია მხოლოდ წარმოვადგინოთ დღესასწაულის ზოგადი სურათი და მოკლედ დავახასიათოთ მისი ბუნება ყველა კუთხის თავისებურებათა მიხედვით.

გაზაფხულზე, ყველიერში, სოფელსა თუ ქალაქში საზეიმო განწყობილება სუფევდა. სოფლის მამაკაცები — ახალგაზრდები და მოხუცები მოედნებზე შეიყრებოდნენ და გაზაფხულის სადიდებელი

დღესასწაულის სამზადისს იწყებდნენ. აირჩევდნენ ბერიკაობის მონაწილეებს: თავბერიკას, დედოფალს, ბერიკებს, სურსათ-სანოვაგისათვის კალათების დამტარებლებს და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელებს, რომელთაც წინა წლების გამოცდილების მიხედვით ასახელებდნენ, ხოლო ახალი წევრების არჩევისას თითოეული მათგანის უნარს ითვალისწინებდნენ.

სურ. 2. ბერიკას ნაბდის ნიღაბი თოჯინით

რაღა არ იყო სამზადისის დროს აქ მოტანილი— თხის, ცხვრისა და ხარის ტყავები, ტყავ-კაბები, საქონლის კუდები, გოგრის, ნაბდის, მუყაოსა და ქაღალდის ნიღბები, ღორისა თუ თხის გამხმარი თავები, სხვადასხვა ცხოველთა რქები და ბუმბული... „სადედოფლო“ ქართული კაბა და ნაირი სახის თავსაბურავები, ფერადი ქაღალდები, ნაჭრის ჭრელი თოჯინები, ზარები და კრიალოსნები. ინა და ნახშირი; სიმინდის ნაქუჩის, ხისა და რქის წითლად შეღებილი „კონკილა“—ფალოსები, ხისაგან გათლილი ხმალ-ხანჯლები, ფარები და შურდულები. აქვე კეთდებოდა სხვადასხვა ფერის მაღალი ალმები და ჩირაღდნები. მიწაზე ეწყო სანოვაგის შესაკრები ჭრელი ხურჯინები, მორჩილი გუდები, კალათები, ხელადები და დიდი კოკები.

ამ სამზადისს სახელდახელო ლხინით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით დაამთავრებდნენ. მესტვირე ბერიკულს უკრავდა, მოხუცები ძველ ბერიკაობა-ყეენობას, განთქმულ ბერიკას და ცნობილ რაჭველ მესტვირეებს გაიხსენებდნენ. ისმებოდა მათი მოსაგონარი და სადღეგრძელო, არც თუ სოფლის საჭირბოროტო საქმეებს ივიწყებდნენ.

მეორე დილით ბუკის ხმა სოფელს დღესასწაულის დაწყებას ამცნობდა და მონაწილეთა მოკაზმვაც დაიწყებოდა.

ბერიკაობის მთავარ პერსონაჟად — „თავბერიკად“ ახალგაზრდა მკვირცხლ ვაჟს ირჩევდნენ, რომელიც ცხვრის ბეწვიან ქურქს იცვამდა ან თხის ტყავს წამოიხურავდა ხოლმე. მონაწილეთა უმრავ-

ლესობა შემოსილი იყო ცხოველის ნიღბით. ისინი თხის, ცხვრის, ხარის ან ღორის ტყავებსა და ტყავკაბებში ეხვეოდნენ. უკან საქონლის კუდს, ხოლო წელზე ხის ან რქის ფალოსს იკეთებდნენ. სახეზე გოგრის, ნაბდის, მუყაოსა და ქაღალდის, ან ცხოველთა თავის ნიღაბს აიფარებდნენ. ზოგჯერ ისინი ღორისა თუ თხის გამხმარი თავებით, სხვადასხვა ცხოველთა რქებითა და ბუმბულებით, ნაჭრის ჭრელი თოჯინებით, ზარებითა და კრიალოსნებით ირთვებოდნენ. ხშირად სახეს ნახშირით იღებავდნენ. იმერეთში ბერიკა აყიროსა და ხაპის ნიღბით—„კვახაბერათი“ გამოსახული პირი იყო. „იმერელი“ ბერიკა ტყავის სამკუთხა ფორმის ქუდ-ნიღაბსაც ატარებდა.



სურ. 3. ბერიკას „კვახის“ ნიღაბი.

კვახის ნიღაბი ამოჭრილი იყო თვალების და ცხვირის გამოსაჩენად, [აყალო მიწისაგან [გამოყვანილი ტუჩები ჰქონდა მიკრული, ხოლო კბილებს ტუჩებში ჩასმული სიმინდის მარცვლები წარმოადგენდა. ბერიკას სიძლიერე გამოხატული იყო ღორის ჯაგრისაგან დამზადებული და ნიღაბზე მიკრული ულვაშებითა და წარბებით; იცოდნენ ნიღაბზე წარბის დახატვაც.

ზოგჯერ ბერიკა შავად შეღებილ ლოყებზე თეთრ ულვაშებს აიწკეპავდა, თხის წვერს გაიკეთებდა და თავზე ნაბდის გრძელ ყურებს რქებივით დაიმაგრებდა; ბერიკა თხის რქებსაც დაიდგამდა ხოლმე ან თავზე ჩალაბურდას შემოიხვევდა და შიგ ეკლიან მცენარეს ჩაიმაგრებდა.

დღესასწაულის მეორე წევრი „დედოფალი“||„კეკელა“, რომელსაც ვაჟი ასახიერებდა, საპატარძლო ტანსაცმლითა და ჩიხტითა და ლეჩაქით ირთვებოდა. ბევრჯერ უნახავთ სოფლურ კაბაში ჩაცული და ჭრელი ჩითის ნაჭრებით მოკაზმული დედოფალიც; მას თავზე თეთრი ან ფერადი შალი ჰქონდა მოხვეული. ქართლის ზოგიერთ სოფლებში დედოფალს თავზე „გვირგვინი“ ედგა, ხოლო ზოგან ფრინველის სხვადასხვა ფერის ფრთებით შემკული ქუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 4. „ქეკელა“ — „დედოფალი“.

ეხურა. მას მძივებს ჰკიდებდნენ, სახეს კი ფერადი საცხებლით უღებავდნენ.

„არაბს“, „ლეკს“, „თათარს“, რომლებიც ერთსადაიმავე ფუნქციას ასრულებდნენ დღესასწაულში და ამიტომ სხვადასხვა ადგილებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ჩალის ქუდი ან ფაფახი ეხურათ, ჩოხა-ახალუხი ან რაიმე ძველმანი ეცვათ და ძონძები ეკიდათ. ისინი ყალიონს წევდნენ, ხელში დიდი ჯოხი ეკავათ და ყელზე ზარჩამოკიდებულები დადიოდნენ. ბერიკების მსგავსად ისინიც სოფლის დარბევის მთავარი მონაწილეები იყვნენ.

„ნათლიას“, რომელსაც დედოფლის დაცვა ევალებოდა თავდამსხმელებისა და მოტრფიალეებისაგან, ჩოხა-ახალუხი ეცვა.

„მღვდელს“ ანაფორის მსგავსი ტანსაცმელი ეცვა და ოლარი



სურ. 5. ბერიკას ნაბდის ნიღაბი

ეკიდა; იგი ხბოს ან ტყავის წამოსასხამსაც ატარებდა და ხშირად თხის ბალნის წვერ-ულვაშით იყო მორთული. მას საცეცხლურის მაგიერ ხელში ხბოს კუდი ან მოწნული ხის ჭურჭელი ეკავა, რომელშიაც საკმეველის ნაცვლად ცეცხლწაკიდებული ნაკელი ეყარა.

„მებარგულეებსა“ და „მეკალათეებს“, რომელთაც პატარა ბიჭები ასახიერებდნენ, საგანგებო ტანსაცმელი არ სცმიათ. ხანდახან ნიღბებს ისინიც ატარებდნენ და სხვადასხვაგვარად ითრვებოდნენ.

მომღერალ-მუსიკოსებსაც ზოგჯერ მოთელილი თექა ან ტყაპუჭი და ნიღაბი უტარებიათ.

ბერიკა და მისი ამალა როგორც კი მორთვა-მოკაზმვას დაამთავრებდა, ბუკისა და ნაღარის ხმა სოფელს მათს მოსვლას ამცნობდა. ბერიკებს წინ თავბერიკა და დედოფალი მიუძღოდათ. მათ ხის ხმლებით, ფარებით, ჯოხებითა და შურდულებით შეირაღებული ამალა მოსდევდა. მესტვირენი, მეჩონგურენი, მეფანდურენი თავიანთ უნარსა და ოსტატობას აჩენდნენ. მესტვირე „ბერიკულს“ მღეროდა. „ბერიკული“ ძნელი დასაკრავი იყო, სტვირს სხვანაირი მომართვა სჭირდებოდა, იგი მაღალ ხმაზე უნდა დაეყენებინათ. ქართლში ყველა სოფელს თავის „ბერიკული“ ჰქონდა, ბერიკათ ნამყოფის გადმოცემით — „დიღმური ბერიკული მუხრანულზე უფრო კარგი მოსასმენი იყო“.

ბერიკები კარდაკარ დაივლიდნენ სოფელს. ყველა სიხარულით ელოდა მათ; ეზოში შემოსულ მოთამაშეებს ოჯახის უფროსი შეეგებებოდა, სკამს მიართმევდა, მუხლმოყრილი თავის გაჭირვებას ეტყოდა და შველას სთხოვდა; აქვე, ეზოში, ბერიკა ჩონგურის ხმაზე ხტებოდა და ხის ხმლით ხელში ცეკვავდა. ცეკვის დროს ბერიკა დროდადრო ხმალს მიწას უსვამდა, რითაც მასპინძელს ანიშნებდა— სურსათ-სანოვაგე გამოგვიტანეო, ამალა კი „ბერას ლექსს“ იმღერებდა:

„ბერიკაის კარსაო,
მიჭყრიალებ თვალსაო,
ჩქარა თუ რას გამომიტან,
თორო გიმტვრევ კარსაო“[3].
„ანაგა და ბოდბისხევი
სერი-სერ მოკიდებული,
დედი, მალე გამოგვიტა,

---

3 ს. მაკალათია, ფშავი, ტფ., გვ. 164.

ვირი გვყავ აკიდებული".
„ბერა მოდგა კარავსაო,
აბრიალებს თვალებსაო,
ხელი ჩაჰკარ ხალამშიო,
ღმერთი მოგვცემს ბარაქასო.
ვინცა ბერას არას მისცემს,
მელას მისცემს მის ქათმებსო, ჰო" და სხვ[4].

წინასწარ მომზადებული მასპინძელი ბერიკებს გულუხვად უმასპინძლდებოდა:

„მასპინძელს ყველა მზადა აქვს,
გველოდა დიდი ხანია,
გვითხრა: — რად გაიგვიანეთ,
მოვიდა შუა ღამია,
რამდენი ხანი გელოდეთ,
ვახშამი არ გვიჭამია;
გაგვიმასპიძლდა კარგადა,
ბერიკაზე აქვს თვალია"[5].

გამასპინძლების შემდეგ ბერიკებს დაასაჩუქრებდნენ: ხორცს, ფქვილს, პურს, ყველს, კვერცხს, თაფლს, არაყს და ღვინოს მის-

К179.222
3

სურ. 6. ბერიკას ტახის ნიღაბი.

4 სვანური პოეზია, ტ. I, გვ. 378.

5 ალ. უგონურაშვილი, ხალხური დღესასწაულები, მასალა ინახება ხალხური შემოქმედების სახლის არქივში.

ძ. ბარამიძის სახ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური

ცემდნენ, რომლებიც პატარა ბიჭებს — მებარგულეებს და მეკალათეებს — დაჰქონდათ. ეს კარგად არის აღნიშნული მთიულურ ხალხურ ლექსშიც:

„ბავშვებსა ჰკიდავ გუდები,
მასპინძლებზე აქვს თვალია,
გუდას მოიხდის, იძახის:
ცოტა ფქვილ ჩაგვიყარია,
ყველი და ხაჭო ჩაგვიდეთ,
ხორციც მოგვეცით მალია,
ახალგაზრდები ყვირიან:
„არაყ ჩაგვისხით ცხარია"[6].

ბერიკები მასპინძლის ოჯახს დალოცავდნენ: „ღმერთო, მიეცი ამ ოჯახს ქონება და დოვლათი, რომ თვითონაც უკლებლივ ჰქონდეთ და სხვისთვისაც გაიმეტონო". მათ ლოცვა სიმღერისა და ცეკვის დროსაც იცოდნენ:

„გაუსვი ფეხი მაგრადა, თან მიაყოლე ხელები,
ამ სახლის პატრონს აევსოს პირამდე პურით ბეღლები"[7].

თუ ბერიკაზე მოსიარულენი ძღვენით უკმაყოფილონი დარჩებოდნენ, ბერიკა ან რომელიმე სხვა მონაწილე ეზოში გაგორდებოდა, რაც ცუდი ამბავის მომასწავებელი იყო. ხალხის რწმენით, მათი ყანები განადგურდებოდა, ოჯახში ხბო და ქათამი არ გაიზრდებოდა, ამას ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილის გამოწვევაც შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოჯახი გულუხვად უმასპინძლდებოდა ბერიკათა ამალას, ისინი მაინც ცდილობდნენ ოჯახიდან რაიმე მოეტაცათ. „დარბევა" „არაბს", „ლეკს" ან „თათარს" ევალებოდა, რასაც ოჯახი სიხარულით ხვდებოდა. ბერიკებისა თუ სხვა მონაწილეების მიერ საჭმელ-სასმელის მოტაცება ოჯახს ბედნიერებას უქადდა.

მასპინძლები ცდილობდნენ მთავარი ბერიკასათვის ან „თათრის" და „მღვდლისათვის" წვერ-ულვაშიდან ბეწვი ამოეგლიჯათ, რომელსაც საქონლის და წიწილების გასამრავლებლად ბაგაში და საბუდარში დებდნენ:

„გაგვიმასპინძლდა კარგადა, ბერიკაზე აქვს თვალია,
უნდა რომ წვერი მოგლიჯოს, მისთვის ეს გასახარია,

---

6 „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა", თბ., 1936, ტ. II, გვ. 204—209.

7 ვასახელებ დ. ჯანელიძის მიხედვით, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 404.

ბერიკას მცველი გვერდს უდგა, ხელში უჭირავს ხმალია,
მასპინძელს ახლოს არ უშვებს, ეს არის მისი ვალია,
ცოტა წვერ თითონ მოგლიჯა, მასპინძელს მისცა მალია,
დალოცა მათი ოჯახი — გამატოთ ღონე-ძალია"[8].

სანოვაგით დატვირთული ბერიკები ახლა სხვა ოჯახს მიაკითხავდნენ და ასე მთელ სოფელს დაივლიდნენ. დიღმელი ბერიკები ლამისყანას, თეზს, ძალისს, ნატახტარს, მცხეთას, ჭოვრისსა და წილკანს მოივლიდნენ. ასეთივე გრძელი გზა ჰქონდათ მშველიეთელ ბერიკებსაც. ისინი მშველიეთიდან მიდიოდნენ ჭურთაში, გავაზში, მოჭალიეთში, ხარბალსა და მონასტერში. ბერიკები გზადაგზა ისვენებდნენ და ცეკვა-თამაშს მართავდნენ. ხშირად შორეულ სოფლებშიც კი გადიოდნენ, თავიანთ ხელოვნებას ხალხს უჩვენებდნენ და „ხარკს" კრეფდნენ. ისინი ყველა ოჯახის სასურველი სტუმრები იყვნენ.

სურ. 7. ბერიკას ნაბდის ნიღაბი

კარდაკარ სიარულისა და სურსათის შეგროვების დროს დღესასწაულის მონაწილეთა მთელი გულისყური დედოფლისადმი იყო მიპყრობილი. მაგრამ დედოფლის ხელში ჩაგდება არც ისე ადვილი იყო. ხის ხმლებით და შუბებით შეიარაღებული მცველები მას წამითაც არ აშორებდნენ თვალს. ყველაზე მეტად მაინც მთავარი ბერიკა გამოირჩეოდა, რომელიც აშკარად იჩენდა დედოფლის დაუფლების სურვილს. ბერიკა მას სიყვარულზე თანხმობას სთხოვდა და საოცარ თავდაუჭერლობამდე მიდიოდა. დედოფლის ალერსის სურ-

8 „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა", თბ., 1936, ტ. II, გვ. 204—205.

ვილს ბერიკასთან ერთად დღესასწაულის სხვა მონაწილენი და მაყურებლებიც იჩენდნენ. „ვინც დედოფალს აკოცებდა. დოვლათიანი და ბედნიერი იქნებოდა“.

სოფლის, ქალაქის მოედანზე ან დიდი სახლის ბანზე „ნეფე-დედოფლის ქორწინების ინსცენირება ეწყობოდა. ბერიკა ეალერსებოდა დედოფალს, მას საუკეთესო მამულებს და ცხოვრებას ჰპირდებოდა; მოხიბლული დედოფალი თანახმა იყო ქორწინებაზე და ჯვრისწერა იმართებოდა. დედოფალს ისევე, როგორც ბერიკას, კიდევ უფრო „ააყვავებდნენ“, ჭრელი ნაჭრებით, ქაღალდებით, ყურძნის ჯაგნებით მორთავდნენ და ჯვრის დასაწერად ურმით ან ვირით წაიყვანდნენ. ვირი ჭრელ ძონძებშემოვლებული ლაგამით იყო შეკაზმული. მექორწინეების წინ „ჯვრის პურით“ ხელში „ნათლია“ მიუძღოდა. მას „მღვდელი“, ხის ხმლებით შეიარაღებული მცველები და დღესასწაულის სხვა მონაწილენი მოჰყვებოდნენ. გზაზე სადმე შეჩერდებოდნენ და ნეფე-დედოფალს „მღვდელი“ ჯვარს დასწერდა. ქორწინება სიმღერით, ცეკვა-თამაშით, ფერხულით და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრით მთავრდებოდა. ამის შემდეგ ნეფე დედოფლის ალერსს იწყებდა; ხალხი მათთან ერთად მხიარულობდა, მღეროდა და ცეკვავდა. ამ დროს იცოდნენ შაირები და კაფიაობა.

ზოგჯერ ქორწინების შემდეგ „დედოფალის“ მცველები და ამალის წევრები ბერიკას კლავდნენ. პატარძალი დასტიროდა გარდაცვლილს, სახეს იკაწრავდა და სასიყვარულო სიტყვებით და ვიშით მიმართავდა. ხალხი პატარძალთან ერთად „ტიროდა“. „მიცვალებული“ მიჰყავდათ და მას „ტირილითა და გოდებით“ მიაცილებდა მთელი ამალა. ანდერძი მღვდელს უნდა აეგო, რომელიც „ჯოხის ცხენზე“ ან ვირზე უკუღმა გადამჯდარი მოდიოდა. ამ რიტუალის დროს მესტვირე „ბერიკულს“ უკრავდა და ხალხი სტვირის ხმაზე „ტიროდა“.

„არაბი“ და „ლეკი“ განსაკუთრებულ ეროტულ სურვილებს იჩენდნენ „დედოფლის“ მიმართ, ამშვიდებდნენ მას და მერე იტაცებდნენ. მკვდარ ბერიკას გოდებით ჩასძახებდნენ „დედოფლის“ მოტაცების ამბავს, რის შემდეგაც ბერიკა გაცოცხლდებოდა, ეძებდა „დედოფალს“ და პოულობდა კიდეც. გაცოცხლებულ ბერიკას სიხარულით ხვდებოდნენ და ისევ ცეკვა-თამაშს გამართავდნენ, კვლავ იწყებოდა გრანდიოზული ზეიმი, ისმოდა სიმღერა, ყიჟინი, ხალხი ამ სანახაობით ერთობოდა.

დღესასწაულის დასასრულს მოედანზე სხვადასხვა უბნის ან სოფლის ბერიკების ხელჩართული ბრძოლა და ჭიდაობა იმართებოდა. დამარცხებულ მხარეს შეგროვილ სურსათს ართმევდნენ. ამბობდნენ — „მოსავლის დოვლათიც გამარჯვებულთა სოფლებში დატრიალდებაო“.

საერთო ხარჯითა და შეგროვილი ნადავლით მოწყობილი ლხინი დღესასწაულის ბუნებრივ დასასრულს წარმოადგენდა. „საბერიკო“ ვახშამი ლოცვა-ვედრებით, შაირებით, სიმღერით, ცეკვა-თამაშით და ფერხულით მთავრდებოდა. იცოდნენ ბურთის თამაში და ჭიდაობა.

ყეენობა

„გერგეტს შაკაზმეს ყეენი,
ქუდი დახურეს ცხუსაო,
სოფლები შამაავლიეს,
ვერვინ იტყოდა ცუდსაო“.

დღესასწაულის მერვე დღეს, დიდმარხვის ორშაბათს, ყეენობა იწყებოდა. ამ ორშაბათს სხვადასხვა სახელი ერქვა: შავი ორშაბათი, კუმეტი, დიდი ორშაბათი, დიდმარხვის ორშაბათი და წმინდა ორშაბათი. ყეენობა ზოგჯერ ყველიერის უკანასკნელ დღეს იწყებოდა, მოუსავლიანი და ცუდი წელიწადის დროს კი მას საერთოდ არ მართავდნენ.

დიდმარხვის ორშაბათ დილას აიშლებოდა მთელი სოფელი, ხალხს სახლში გული აღარ უდგებოდა და დღესასწაულისათვის საგანგებო სამზადისი დაიწყებოდა. ირჩევდნენ ყეენსა და მის ამალას, ამზადებდნენ მათთვის განკუთვნილ ტანსაცმელს და საჭირო სასმელ-საჭმელს.

ყეენობაში იყენებდნენ როგორც გასულ წელს ნახმარ ტანსაცმელსა და ნიღბებს, ასევე ბერიკების ტანსაცმელს. ხან კი ნიღბებს ხელახლა იკერავდნენ. ამ დღისათვის წინასწარვე თლიდნენ ყავრისა და ფიცრისაგან ხმლებს და წარნაქით ღებავდნენ. აკეთებდნენ მაღალ მტრედისფერ დროშას, რომლის სიმაღლითაც მიმდინარე წლის მოსავლის რაოდენობას განსაზღვრავდნენ; და ამზადებდნენ ჭრელი ნაჭრის და ქაღალდის სამკაულებს, ზარებს მეფის ცხენისა და ყეენის ვირის მოსართავად.

მომხიბვლელია სოფელი ამ დროს, ან რა აღწერს სამზადისის თავდავიწყებულ გატაცებასა და სიამოვნებას.

ზოგჯერ დღესასწაულისათვის საჭირო ღვინოსა და ჭირნახულს ერთი ოჯახი იძლეოდა, რომელსაც შემდეგ ხალხი მკაში ან ხვნა-თესვაში ეხმარებოდა.

სურ. 8. ყეენის „წოწოლა" ქუდი.

ხევში საძოვარ მთებს აქირავებდნენ და აღებულ ფულს დღესასწაულს ახარჯავდნენ, საკლავსაც ამ საერთო ფულით ყიდულობდნენ. ამავე დროს ყველა ოჯახი ემზადებოდა და, მიუხედავად მარხვისა, ქადითა და ნაზუქებით ივსებოდა სუფრა. ორშაბათ დღეს ხდებოდა „ყეენისა" და მისი ამალის შერჩევა. ზოგიერთ სოფელში ყოველ წელს ახალ ყეენს ასახელებდნენ, ზოგან კი მას „ფეხს დაუცდიდნენ", კარგი ფეხის მქონეს—ბედნიერი წელიწადის მომტანს, ისევ აირჩევდნენ, ხოლო თუ მას მძიმე ფეხი ჰქონდა, გამოცვლიდნენ და ახალს დასვამდნენ. ყეენად ირჩევდნენ ენამოსწრებულ, მკვირცხლ, ღონიერ ახალგაზრდა კაცს, უფრო ხშირად ახალდაქორწინებულს. თუ სოფელში რამდენიმე „ნეფე" იყო, მათ შორის ყველაზე წარმოსადეგს და ბრგეს დააყენებდნენ, რათა იმ წელს მაღალი და ღონიერი მოსავალი მოსულიყო. იმერეთში ყეენი უნდა განესახიერებინა ღარიბ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ხორაგის დიდ ნაწილს ან ფულს დაჰპირდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ის არჩევაზე არ დათანხმდებოდა, ვიდრე დანაპირების შესრულებისათვის თავდებად ხანში შესული პატივსაცემი პირი არ დაუდგებოდა. მაშინვე ირჩევდნენ ამალის წევრებს: „დედოფალს", ბერიკებს, „თა-

თარს“, „ლეკს“, „ჩაფრებს“, „კუროებს“ ანუ „ბუღებს“, „ვეზირებს“, „ნათლიას“, „მაყრებს“, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელებს და სურსათის შემგროვებლებს — „მოკალათეებს“; ამზადებდნენ მათს ტანსაცმელს, ხის იარაღს, ალმებს. შესაფერისად რთავდნენ ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით კი „ყეენს“ და „დედოფალს“.

სურ. 9. ყეენი „წოწოლა“ ქუდით.

ყეენი სხვადასხვაგვარად იყო მორთული. იმერეთში იგი ჯვალოებით და ჭილოფით იყო შემოსილი, ზოგჯერ ბანჯგვლიანი ქურქი ეცვა, ან შავი ახალუხი და განიერი შარვალი. არც თუ იშვიათად იგი „სამეფო“ ტანსაცმლითაც მოურთავთ.

ქართლ-კახეთში ყეენს, ბერიკას მსგავსად, ცხვრის გადმობრუნებული ტყავ-კაბა ეცვა ან ტყავწამოხურული დადიოდა, უკან კი საქონლის ან წნელისაგან გაკეთებულ კუდს იმაგრებდა. ტყაპუჭზე მას ქამარი ჰქონდა შემოკრული, რომელზედაც კამეჩის ან ხარის კანჭის ძვალი, წითელ ნაჭერშემოხვეული ან შეღებილი სიმინდის ნაჭურჩი ან ხის მოკლე ჯოხი ჰქონდა დაკიდული.

ზოგ ყეენს ჩოხა-ახალუხი სცმია, ზოგს ყარაჩოღელის ტანსაცმელი; ქალაქში ხშირი ყოფილა მეფე ერეკლეს მსგავსად მორთული ყეენიც, რომელსაც „მეფეს“ ეძახდნენ. ყეენს ყელზე ყველიერში გამომცხვარი ნაზუქის კვერი და საგანგებოდ დამზადებული მამლის თავი ეკიდა, რომელსაც ნისკარტში თავისივე ბრჭყალი ჰქონდა გაყრილი. ყეენს ხშირად ყურძნის გამხმარი ჯაგნებით, კაკლის ხრიალებით, ხახვის გალათი ან ფერადი მძივებით შეამკობდნენ.

იმერეთში ყეენს წვერ-ულვაშით დამშვენებული „კვახაბერა“

ეფარა ან სახე შავად ჰქონდა შეღებილი. თავზე ეხურა „შაქრის თავის“ მსგავსი ქაღალდის ან ცხვრის ტყავის მაღალი ქუდი, რომელსაც „გუდის ტყავის“ ქუდსაც ეძახდნენ.

ყეენი სახეზე ქაღალდის ან მუყაოსაგან დამზადებულ ნიღაბს იფარებდა, რომელიც პირისფრად ან წითლად იყო შეღებილი. უფრო ხშირად კი იგი სახეს შავად იღებავდა, ფერად ან შავი ნაბდის ნიღაბსაც იკეთებდა, თავზე რქებს იდგამდა და ღორის ჯაგრის ან თხის ბეწვის წვერ-ულვაშით იყო მორთული. ნიღაბი ამოჭრილი იყო თვალებისა და ცხვირის გამოსაჩენად.

სურ. 10. ყეენი თავზე კრუხით და საბუდრით.

კახეთში ყეენის ქუდის მაგივრობას კრუხის საბუდარი სწევდა, რომელშიც ხშირად ცოცხალი კრუხი იჯდა. საბუდარი ფერადი ბუმბულებით იყო მორთული. ქალაქებში — გორსა და თბილისში, გამართულ ყეენობაში ყეენი სპარსულ ჩალმასაც ატარებდა.

დედოფალი, რომელსაც აქაც ფერუმარულწასმული, ხელოვნური მკერდით დამშვენებული ვაჟი ასახიერებდა, ჩიხტი-კოპით ან

აბრეშუმის წითელი ქალაღაიათი იყო მორთული. მას ქართულ ან სოფლურ ყაიდაზე შეკერილი ჩითის კაბა ეცვა. კაბას ამშვენებდა ჭრელი ქამარი და მასზე ჩამოკიდებული კამეჩის რქა.

დღესასწაულის მონაწილე სხვა ბერიკებსაც ცხვრის მოკლე გადმობრუნებული ტყავ-კაბები ეცვათ და თავზე ნაბდისგან შეკერილი შავი ქუდ-ნიღბები ეხურათ.

კურო (ბუღა) თავზე ხარის რქებს იმაგრებდა და ხარის ტყავს წამოისხამდა ხოლმე.

ზოგჯერ დღესასწაულში არა მარტო ყეენი და დედოფალი იღებდნენ მონაწილეობას, არამედ „მეფე“ და „დედოფალიც“, რომელთაც „მეფური“ ტანსაცმელი ეცვათ. გვირგვინიან „მეფეს“ ხელში კვერთხი ეკავა. მათი ცხენი ან ვირი ჭრელი ნაჭრებით და ფერადი ქაღალდებით იყო მორთული. სანახაობას მუდამ თან ახლდა მუსიკალური საკრავების ხმა; დემკვრელები ხან ფანდურს ჩამოჰკრავდნენ, ხან დაირას და დოლს ააღერებდნენ, ზოგი ლარჭებიან სტვირზე უკრავდა.

როდესაც დღესასწაულის მონაწილეთა მორთვა-მოკაზმვა დამთავრდებოდა, მეგანგაშე ბუკითა და ნაღარით სოფელს ყეენობის დაწყებას ამცნობდა. სოფლის თუ ქალაქის მოედნები უმალ ხალხით აივსებოდა და მერე ყეენი და მისი ამალა გამოჩნდებოდა, იგი ზოგჯერ ვირზე ან ცხენზე უკუღმა შემჯდარი მოდიოდა და ხალხი ყვირილით მოსდევდა. ყეენი ვირზე გაქვავებული სახით იჯდა, პირზე ერთი ღიმილი არ მოსდიოდა, თითქოს მთელი ქვეყნის ჭირვარამზე ფიქრობდა. ადევნებული წვრილფეხობა სახედარს აწვალებდა, ზოგი წკირით უჩიჩხინებდა. ყეენს სოფლის ცენტრში ან ბაზარში საგულდაგულოდ მომზადებულ „ტახტზე“ დასვამდნენ და თანმხლები თარჯიმანი მის ნებასურვილს გამოაცხადებდა. ასე იწყებოდა ყეენის „მეფობის“ ხანა; იგი მაშინვე აკურთხებდა სოფელს, დალოცავდა გლეხის მარჯვენას, დედამიწის მოსავალს და ხალხს წმინდა დიდმარხვის დადგომას მიულოცავდა. იგი ვითომ ღვთის ნებითა და სახელით ლაპარაკობდა. ამის შემდეგ თამაშს იწყებდა, გიჟური თავდავიწყებით მოძრაობდა და თხის რქით სხვადასხვა ეროტული ხასიათის მოძრაობას ასრულებდა. მერე ტახტზე ისევ დაჯდებოდა, მას ხელში ქარქაშიდან ამოღებული ხმალი და შამფური ეკავა, შამფურზე ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული, მუხლებზე კი გადასახადის ჩასაწერი დავთარი ედო.

ტახტზე მჯდომი ყეენის გარშემო მხლებლები: „ჯარისკაცები“

და მეალმეები იდგნენ. მათ ბუმბულებით შემკული ჯოხები, მაშხალები და ჩირაღდნები ეჭირათ.

„ყეენი“ თავის წინ ჩავლილ ქალს მოეალერსებოდა ხოლმე. ვადმოცემის მიხედვით, მოედანზე სხვადასხვა სანახაობაც იმართებოდა. ყეენი ძუნძულით წრეს ჩამოუვლიდა, წინ დაკიდებულ ჯოხს ამოძრავებდა და ქალებს ეხვეოდა. ამალის სხვა წევრებიც ქალებს დასდევდნენ და ჰკოცნიდნენ. მეფანდურენი სატრფიალო შაირებს ამბობდნენ.

დამთავრდებოდა თუ არა ეს რიტუალი, დღესასწაულის მონაწილენი ოჯახებს ჩამოივლიდნენ, თითო ჭიქა არაყს ყველგან გადაკრავდნენ, ვის რას ეტყოდნენ, ვის რითი გაახარებდნენ. ბერიკების მიერ სოფლის „დარბევა“ რამდენიმე დღე გრძელდებოდა. „ჩაფრები“ კეტების ქნევით ერეკებოდნენ „ტყვეებს“, რომლებიც ყეენს მდაბლად უკრავდნენ თავს, მოჰქონდათ „ხარკი“, იჩოქებდნენ მის წინ და მორჩილებას უცხადებდნენ.

ალბათ, უძველესი რელიგიური აზროვნების ნაყოფია ის მაგიურ-რელიგიური ქმედებების შემცველი წეს-ჩვეულება, რომელზედაც ახლა გიამბობთ. დღესასწაულის მონაწილენი ყველა ეზოში შევიდოდნენ, მასპინძელი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა და დაესაჩუქრებინა ისინი. წესად იყო დღესასწაულის მონაწილეთა მიერ საქმლის მოტაცება და ეზო-ეზო ცეკვა-თამაშის გამართვა. ზოგიერთი ოჯახის წინ ისინი ქორწინების ინსცენირებას აწყობდნენ. ხალხის აზრით, ამ რიტუალს ისევე, როგორც სურსათის შეგროვება-მოტაცებას, მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი წლის ხვავისა და ბარაქის დაბევებისათვის. ალბათ, ამ რწმენის გამო იყო, რომ გუდებითა და ხურჯინ-კალათებით დატვირთული ბერიკები ყეენთან მიდიოდნენ, თარჯიმანი კი აცხადებდა, ვისგან რა საჩუქარი ჰქონდათ მიღებული ან „ხარკად“ წამოღებული, და იწყებოდა იმ ოჯახების დალოცვა.

ყეენი ხშირად მთელ სოფელს ერთად „ბეგრავდა“. იგი სოფლის ერთ-ერთ უბანში დაჯდებოდა, ქაღალდისაგან გაკეთებული ჭოგრიტით სოფელს გახედავდა და გადასახადის შეწერას დაიწყებდა. „ბეგარა“ შედგებოდა ჩარეჭა ან კოდი ღვინის, არაყის და საგზლისაგან, რომელსაც „მუხლის კვერა“ ერქვა. მასში შედიოდა: ერბო, ყველი, ხაბიზგინები, ქადა, ხაჭაპურები. ამავე დროს ყეენი ხალხს ტყით, სათიბებითა და საძოვრებით ასაჩუქრებდა. ვისაც ძროხა ჰყავდა, ცივის მთას დაულოცავდა, ვისაც ცხვარი—„ლეკის მთას“ და ა. შ.

გადასახადის გარდა, თვითეული ოჯახი ვალდებული იყო საციქველი მიეცა ყეენისათვის: ხონჩით ხილი, ჩურჩხელები და ყურძენი.

ზოგან ოჯახში მისული ყეენი სიმინდის ტაროდან მარცვალს ჩამოფშვნიდა და ძღვენის გამომტანს მისცემდა. მარცვალი ბარაქის სიმბოლოდ ითვლებოდა, რომელსაც საბუდარში მჯდომ კრუხს აჭმევდნენ. „დოვლათის დასაბრუნებლად“ კი ყეენისათვის უნდა მიეცათ ნახევარი ჩარექა ღვინო ან არაყი, პური, ყველი და სხვ.

სურ. 11. ყეენისა და ბერიკას ნიღაბი

თუ ვინმე ძღვენს არ მიართმევდა, ყეენი გაგორდებოდა და იტყოდა: „მოსავალი არ მოგვიდეთ, სულ ავათ იყავით“. ხალხი ეხვეწებოდა: „ნუ გაგორდები, თორემ ქათამი არ მოგვიკრუხდება და ცუდათ ვიქნებითო“. თუ ნადავლის წამოღების დროს ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, ყეენი მას აჯარი მებდა—გადასახადს ორმაგად ახდევინებდა. შემდგომ ამისა, მიუტანდნენ ყეენს, როგორც მეფეებს მიართმევდნენ ხოლმე, ხონჩით სავსე სანოვაგეს, ზედ ეწყო გოზინაყი, ტკბილი კვერი, ქადა, ერბოყველი, სასმელი თასებით და სხვ. თუ დღესასწაულის მონაწილენი რომელიმე ოჯახს არ ესტუმრებოდნენ, ძალიან სწყინდათ, ეშინოდათ, რომ ამის გამო გვალვა შეაწუხებდათ და ცუდი მოსავალი მოუვიდოდათ.

დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მომენტი ყეენისა და დედოფლის დაქორწინება იყო. მონაწილენი ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად იყოფოდნენ. ყეენი და მისი ამალა ქალს გვარიშვილობის და სიმდიდრის მიხედვით ირჩევდა. ისინი მოციქულს უგზავნიდნენ საპატარძლოს. ქალი უარს ამბობდა გათხოვებაზე. ამით განრისხებული ყეენი მას მუქარას უთვლიდა და თავის ამალითურთ მოსატაცებლად მიდიოდა. იმართებოდა ჩხუბი, რომელიც ყეენის გამარჯვებით მთავრდებოდა. მოტაცებულ დედოფალს ყეენი ეალერსე-

ბოდა. სურვილებს და ზრახვანს აყოლილი, თუ მოახელთებდა, არც სხვა ქალებს ინდობდა. მოღლილი მიწაზე ან საგანგებოდ მომზადებულ ხალიჩაზე დაწვებოდა, მის გარშემო ხალხი ჩირაღდნებითა და მაშხალებით იდგა, ლაღობდა და ყაყანებდა.

ამის შემდეგ იმართებოდა ყეენის გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი, მაგრამ მისი მეფობა დიდხანს არ გრძელდებოდა.

დღესასწაულის მონაწილეებმა გუთნის წყალში შეტანაც იცოდნენ. გუთანში ხარებივით ორი კაცი შეებმებოდა, ყეენი და დედოფალი კი გუთნის ღირღიტაზე ისხდნენ და ერთმანეთს ეალერსებოდნენ. ამ დღესასწაულით ელოდა ხალხი, რომ გლეხკაცის სალოცავი მიწა ბევრ პურს მისცემდა და ბეღლები მოსავალს ვერ დაიტევდა. ამ დღესასწაულითვე ცდილობდნენ გვალვის თავიდან აცდენას. და როდესაც ყეენს წყალს ასხამდნენ გაიძახოდნენ: „ნამ, ნამ, ნამ, ნამ მოსავალი", „წვიმა და მოსავალი, წვიმა და მოსავალი". თუ დღესასწაულის მონაწილენი სოფლის გარეთ გავიდოდნენ, წინ აუცილებლად ყეენი გაუძღვებოდათ, რომელსაც საღამოს მოახლოება შიშს გვრიდა, იცოდა, რომ გაწუწვა ან წყალში ჩაგდება არ ასცდებოდა. ყეენის წყალში ჩაგდება ან დასველება ისევე აუცილებელი იყო, როგორც წუწაობა. წყალს ყველა გამვლელს ასხამდნენ, გაუწუწავი თითქმის არავინ გადარჩებოდა. დასველებულ ყეენს ხალხი შეძახილებით ხვდებოდა — „წრეულ კაი მოსავალი იქნება". იმერელი გლეხის გადმოცემით „ყეენი რომ წყალში არ ამოავლონ, იმ წელიწადს კარგი მოსავალი არ მოვა", თუ იმ წელიწადს სოფელს გვალვა შეაწუხებდა, ყეენობას გაიხსენებდნენ და იტყოდნენ: „ამ გაზაფხულზე ყეენად ეს კაცი რომ დავსვით, ყველაფერი იმის ბრალიაო".

ზოგჯერ ყეენი და დედოფალი ურმით, სახედრით, ცხენით ან ხელში აყვანილები მდინარესთან მიჰყავდათ, მაყრიონიც მიჰყვებოდა. თუ ბინდი მოუსწრებდა, დღესასწაულს შუშუხუნებისა და ჩირაღდნების შუქზე აგრძელებდნენ.

დედოფალსა და ყეენს ან წყალში პირდაპირ ურმით შეიყვანდნენ, ან ცხენიდან და ვირიდან ხელისკვრით ჩაყრიდნენ და დაილოცებოდნენ. ღმერთო, შენ გვაღირსე გაზაფხული, ნამი, წვიმა, კარგი წელიწადი.

წყალში ჩასული ყეენი ზოგჯერ თასით ღვინოს შესვამდა, სიმინდის კოტას ან რქას მოიხსნიდა, წყალს გაატანდა და იტყოდა:

„წადი, გამრავლდი ქვეყანაზე, კარგი მოსავალი მოიყვანეო“. ამის შემდეგ ყეენი და დედოფალი ქუდებს მოიხდიდნენ, წყლით ააგსებდნენ, ხალხს მიასხამდნენ, და თან დაილოცებოდნენ: გაგიმრავლდეთ ძროხა, ცხვარი, კრუხი, წიწილა და ასე მრავალი მოგსვლოდეთ პური.

სურ. 12. ყეენის ნიღაბი.

კახეთში არც ყეენის გაშიშვლებას ერიდებოდნენ. მას წყლით სავსე დიდ ნავში ან გეჯაში ჩააგდებდნენ და ამბობდნენ: გვალვა არ იყოს, ნედლი წელიწადი, კაი წელიწადი მოვიდეს, სეტყვა მოგვშორდესო.

როცა ძალიან ციოდა. ყეენს არ დაასველებდნენ,—„ყეენი რომ ავად გახდეს, ცუდი მოსავალი მოგვივაო“.

ქართლის ზოგიერთ სოფელს სამი ყეენი ჰყავდა: ერთი კაცების და ორი ქალების. ქალების ყეენები წყალში შედიოდნენ, ღვინოს სვამდნენ და ჭიდაობდნენ. წყალში ჩასვლა დღესასწაულის მონაწილე სხვა ქალებმაც იცოდნენ, ისინი ერთმანეთს თავგამეტებით წუწავდნენ. სოფლელების ღრმა რწმენით, ქალების მიერ გამართული ყეენობის დროს უფრო კარგი მოსავალი მოდის, პური და ღვინოც ბევრია და ავადმყოფობაც არ არის მოსალოდნელი.

ხალხით გარშემორტყმული ყეენი წყლიდან ამოსვლისთანავე გაიხდიდა სველ ტანსაცმელს, მოიხსნიდა მოსართავს, ნიღაბს და დაპირებულ საციქველს მიიღებდა.

წყლიდან ამოსულები ზოგჯერ იქვე ფილაქნის კერებს გამართავდნენ და ზედ ხორცის მოსახარშ ქვაბებს დადგამდნენ, სახელდახელო სუფრას შლიდნენ და დაგროვილ საციქველს პირს უსინჯავდნენ.

ყეენი ყოველთვის როდი დადიოდა კარდაკარ. გადასახადს მისი მხლებლები აგროვებდნენ. აღსანიშნავია, რომ მდიდარსა და ღარიბს გადასახადს სხვადასხვანაირად ახდევინებდნენ.

ყეენი და მისი ამალა მხოლოდ ერთი სოფლის შემოვლით არ კმაყოფილდებოდა. ისინი მახლობელ სოფლებშიაც დადიოდნენ და გზაზე „ხარკს“ კრეფდნენ: ზოგჯერ მხოლოდ ფულს იღებდნენ, ზოგჯერ კი გოზინაყს, ტკბილ კვერს, წაბლს, ჩურჩხელებს, არაყსა და ღვინოს ითხოვდნენ.

ყეენობის მოსაწყობად გაწეული ხარჯი აკრეფილი „ხარკით“

იფარებოდა. ხარკს ხშირად ქეიფის მოწყობას ახმარდნენ, ზოგჯერ კი ამ თანხას სხვა საქმეებისთვისაც იყენებდნენ — ღარიბ ოჯახს ან ავადმყოფს ეხმარებოდნენ, ხან ვინმე ღარიბ გასათხოვარ ქალს მზითვს გაუმზადებდნენ.

დღესასწაულზე მასობრივი ხასიათის ჭიდაობა იმართებოდა. თავმოყრილი ხალხი ორ ნაწილად იყოფოდა; თვითეულს თავისი მეთაური, საგანგებოდ შერჩეული მოკრივეები და მოჭიდავეები ჰყავდა. ჭიდაობის თუ ხელჩართული ბრძოლის ფალავანი ხშირად ყეენი ან მეფე იყო. ჭიდაობაში კუროებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ყეენსა და მეფეს ან მებრძოლ ყეენებს წინ ფლავით სავსე სინები ედგათ, მეალმეებს ალმები ეკავათ, ხოლო მეჩირაღდნეებს— მაშხალები და ჩირაღდნები. მათ გარშემო კი სხვადასხვა სახის იარაღით აღჭურვილი ალმის დამცველები იდგნენ.

დაფა-ზურნის ხმაზე ორთა ბრძოლა იწყებოდა, მესტვირე საჭიდაოს უკრავდა. ჭიდაობდნენ წელზევით შიშველი ახალგაზრდები, რომლებიც ჭიდაობის დაწყებამდე ხალხს ყეენობას მიულოცავდნენ.

თუ მეფე და ყეენი ჭიდაობდნენ, შეთანხმების მიხედვით ყოველთვის ყეენი მარცხდებოდა, მაგრამ ბრძოლა უფრო მეტად ნამდვილ ძალასა და მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. გამარჯვებულ მოჭიდავეს ხშირად ასაჩუქრებდნენ, დამარცხებულს კი დასცინოდნენ.

ორთაბრძოლა ხშირად ყეენსა და დედოფალს შორისაც იმართებოდა. დედოფლის მიერ ყეენის წაქცევა ცუდი წლის დადგომას მოასწავებდა, ხოლო თუ პირუკუ მოხდებოდა, ხალხი კარგ მოსავლიან წელიწადს მოელოდა და გახარებულებს ყეენი ხელში აყვანილი დაჰყავდათ.

ჭიდაობა ზოგჯერ ხელჩართულ ბრძოლად გადაქცეულა, რომლის დროსაც „ხის ხმლები“, შურდულები და კეტები გამოუყენებიათ. ლითონის იარაღის ხმარება არ .შეიძლებოდა.

შებინდებისას სოფელში ლხინი იმართებოდა, სუფრა ხორაგით იყო სავსე და დაუსრულებელი ქეიფი ჰქონდათ. მართალია, ყეენობის დროს უამრავი სურსათ-სანოვაგე გროვდებოდა, მაგრამ მაინც დღესასწაულისათვის შეკრებილი ფულის ნაწილიც იხარჯებოდა. ამავე დროს სუფრაზე ყველას თავის ოჯახში დამზადებული საჭმელიც მოჰქონდა. სადილისა თუ ვახშმის მომზადება ქალებს ჰქონდათ დავალებული, მაგრამ ლხინში მონაწილეობა არ შეეძლოთ.

ლხინზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს. სუფრის თავში ყეენი იჯდა, რომელიც ზოგჯერ თამადაც იყო. ამ ლხინს გონიერი და მჭერმეტ-ყველი კაციც უძღვებოდა. პირველად ყეენს დალოცავდნენ, კარგ ფეხს და ბედნიერი წლის მოყვანას უსურვებდნენ. სუფრაზე ნათქვამი სადღეგრძელოებიც მოსავლის სიუხვეს ეძღვნებოდა. იცლებოდა ჯამთასები, ილოცებოდა ოჯახები, ხარის ქედი, ცის ნამი, დედამიწის მოსავალი და კაცის მარჯვენა, ითქმებოდა ეროტული ხასიათის სიმღერა-ლექსები.

ვინც აქ მოსვლას არ დაიზარებდა, ყველა თავის წილ ულუფას ღებულობდა, ზოგი სასმელ-საჭმელის შინ წაღებასაც ახერხებდა.

საღამოს უხუცესი მამაკაცები და ახალგაზრდები მოედნებზე კოცონს აანთებდნენ, სავსე მთვარის სინათლეზე წრეს შეკრავდნენ, მღეროდნენ, კოცონის ირგვლივ ცეკვავდნენ, შემდეგ სწრაფად ტრიალებდნენ და აგზნებული სიცილით ცეკვას ამთავრებდნენ.

ნაადრევი გაზაფხულის მშვენიერ ღამეში გათენებამდე ისმოდა ლხინის ხმა, როგორც ხალხის მადლობის გამოხატულება სიცოცხლისა და სიუხვისათვის.

სადღეისოდ ასე ახსოვთ ეს თავაწყვეტილი, ხმაურიანი, მართლაც, დიდებული დღესასწაული.

ამის შემდეგ სოფელი სიმშვიდეს ეძლეოდა, სადღესასწაულო მორთულობა ინახებოდა და ხალხი ისევ საქმიანი ცხოვრების ფერხულში ებმებოდა.

თბილისური ყეენობა

წარმართული მითოლოგიის წიაღიდან გამოსული ბერიკაობა—ყეენობა თანდათან საერთო სანახაობად განვითარდა და ქართველი ხალხის დამპყრობლებთან გმირული ბრძოლის გამომხატველი გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ქალაქური, მეტადრე თბილისური, ყეენობა გამოირჩევა.

ყველიერის უკანასკნელ დღეებში, ყეენობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მთელი ქალაქი დღესასწაულისათვის ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებსა და მჭედლებს დიდძალი სამუშაო უჩნდებოდათ. ამზადებდნენ ხის ხმლებსა და ხანჯლებს, საცერულებსა და შურდულებს, ყეენისა და სხვა მონაწილეთა ნიღბებსა და ტანსაცმელს.

ორშაბათს, დიდმარხვის პირველ დღეს, დაბახანის ხეობაში (ბოტანიკურ ბაღთან) საგანგებოდ გამოყოფილი პირები „ყეენისა“

და მისი „ამალის“ მოკაზმვის თადარიგს შეუდგებოდნენ. ჭრელ-ტანსაცმლიან, სპარსულად მორთულ ყეენს მაღალი, წოწოლა ქუდი ეხურა და სახე გამურული ჰქონდა, ზოგი გადმობრუნებული ტყაპუჭით დადიოდა. ყეენის ამალა ბერიკულ თუ სხვა ნაირფერ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მათაც გადმობრუნებული ტყაპუჭები ან მყვირალა ფერის მოსასხამები ეცვათ და სახეგამურულები იყვნენ.

ქალაქს ყეენის გარდა „მეფეც“ ჰყავდა. სამეფო ტანსაცმელში ჩაცმულ მეფე-დედოფალს თავზე ტოტებიანი გვირგვინი ედგათ.

ქალაქი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფოდა, ერთ მხარეს მეფის ამალის წევრები და მათი მომხრეები იყვნენ, მეორეზე კი ყეენი და მისი მარაქა.

1817—1827 წლებში ჩატარებული ყეენობის დროს თბილისი ორ უბნად იყო გაყოფილი: ერთი იყო ისანი (საიდანაც ყეენი უნდა გამოსულიყო) და მეორე ნარიყალა. ისნის მხარეს იყვნენ ავლაბრის, ჩუღურეთისა და კუკიის მცხოვრებნი, ხოლო ნარიყალის მხარეს ვერისა და სოლოლაკის მოსახლენი. ნარიყალის მარაქაში გამოდიოდნენ მუხრანბატონი, ორბელიანი, ბარათაშვილი, ერისთავი და ერმოლოვი; ისნისაში კი კახეთის მებატონენი — ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი და სხვ.

ორშაბათობით თბილისის სავაჭროები და სახელოსნოები არ მუშაობდნენ. ხელოსანთა ამქრები საკუთარი ნიშნებითა და მემუსიკეებით ორთაჭალის ვიწრო ყელისაკენ მიდიოდნენ, რათა ყეენის ქალაქში შემოსვლა დაენახათ.

დღესასწაულის დაწყების დროს სახედარზე ან აქლემზე შემსხდარი ყეენი და დედოფალი თავიანთი ამალით გამოჩნდებოდნენ. ხმალამოღებული ყეენი თქარა-თქურით მოდიოდა. უკრავდნენ გულშემზარავად, გაჰკიოდა საყვირები, ხშირად საომარი ჰიმნი „დოგუშიც“ გაისმოდა. ყეენი „შემოესეოდა“ ჯერ განჯის კარს, ხარფუხს და კალოუბანს, შემდეგ მთელ ქალაქს „ალყას შემოარტყამდა“ და გზაჯვარედინებზე „ხარკის“ ასაკრებად თავის „მოხელეებს“ ჩააყენებდა, თვითონ კი სეიდაბადის მაღლობისაკენ გასწევდა, სადაც მისთვის „ტახტი“ იყო მომზადებული. ყეენის მოხელენი გამგელ-გამომვლელს იჭერდნენ და ხარკის გადასახდელად ან თაყვანისსაცემად ყეენთან მიჰყავდათ.

ასე „ბატონობდა“ ყეენი ქალაქზე შუადღემდე. შუადღისას მას მოახსენებდნენ, რომ ქალაქი აჯანყდა და შენი ჩამოგდება სურ-

ნო. განრისხებული ყეენი რაზმავდა თავის ხალხს და „განდგომილებს“ უტევდა. შეტაკება მთაწმინდის სერზე ეწყობოდა. ორივე მხარე შურდულებით, ხის ხმლებითა და ხელჯოხებით იბრძოდა, შემდეგ კი ხელჩართული კრივი იმართებოდა. ნარიყალელები იმარჯვებდნენ, ყეენი და დედოფალი ქართველთა ჯარის ხელთ ვარდებოდა. გამარჯვებული მეფე და მისი ამალა მათ — დამარცხებულებს, სახედრებზე პირუკუღმა სვამდნენ, მტკვრის პირას მიჰყავდათ და წყალში ყრიდნენ. დატყვევებულ ყეენს ხშირად ლაფშიც ამოსვრიდნენ ხოლმე.



სურ. 13. ყეენის ქუდი.

ხალხი ქალაქის ყეენისაგან დახსნას და მის „სიკვდილს“ დღესასწაულობდა. მეფე და მისი მომხრეები ქალაქში ილხენდნენ, ყეენი კი ქალაქგარეთ გადიოდა და ქეიფს იქ აწყობდა.

შემდეგში დღესასწაულმა კიდევ უფრო იცვალა სახე. თბილისში ერთის მაგივრად რამდენიმე ყეენობა ეწყობოდა. ყოველ უბანს თავისი ყეენი ჰყავდა. პროცესიაში მონაწილეობდნენ: ბერიკები, ნეფე-დედოფალი მაყრებით, „სპარსელი ყეენი“, ფრაკიანი და სათვალებიანი „მოსამართლე“ და სხვ. დღესასწაულის მსვლელობა ავლაბრიდან იწყებოდა. ისინი მთელ ქალაქს მოივლიდნენ და გზაზე ხარკს კრეფდნენ. შემოწირულება მაღაზიებიდანაც კი გამოჰქონდათ. აკრეფილი ფულით ვერის, ორთაჭალისა და დიდუბის ბაღებში ქეიფი იმართებოდა.

უფრო მოგვიანებით ყეენობა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ სანახაობად გადაიქცა; მას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იარაღს, ჩვენი ცნობილი მწერლები, პოეტები და მსახიობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მის უშუალო ორგანიზატორებად თუ მონაწილეებად გამოდიოდნენ.

მეფის მთავრობას ეშინოდა ამ აშკარა სახალხო პატრიოტული სანახაობისა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველმხრივ ცდი-

ლობდა, თუ ვერ აკრძალავდა, ჩარეულიყო მაინც დღესასწაულის საქმიანობაში. პოლიციის მოხელეებმა მოინდომეს ყეენობა ცარიზმის ძლევამოსილების გამომხატველ დღესასწაულად გადაექციათ, მაგრამ ყეენობაში თანამედროვეობის ელემენტების შეტანა ხალხმა თავისებურად გამოიყენა და უფრო სრულად გამოხატა თავისი სიძულვილი ცარიზმისადმი. ყეენობაში მეფის უნიჭო გენერლებისა და პოლკოვნიკების გამასხარავება დაიწყეს, ყეენის მაგივრად პოლკოვნიკის მუნდირში გამოწყობილი პირი დასვეს და მეფის მოხელეების მიერ ქალაქის აწიოკების, დატყვევებისა და გაციმბირების ინსცენირება მოაწყვეს. ზოგიერთი უბნის ყეენებს „კაპიტნების“ ტანსაცმელს აცმევდნენ და ვითომ მთვრალს მთელ ქალაქში ჩამოატარებდნენ.

სურ. 14. ყეენი

მსვლელობაში შებორკილი „ტუსაღებიც“ იღებდნენ მონაწილეობას, რომელთაც გარშემო შუბებით შეიარაღებული „ჯარისკაცები“ ეხვივნენ. ცხადია, ასეთი სახის ყეენობას მეფის მთავრობა ვერ შეურიგდებოდა. ჟურნალი „კვალი“ 1894 წ. იუწყებოდა, რომ ეს დღესასწაული აიკრძალა და იგი თბილისელთა მყუდროებას აღარ დაარღვევსო. ხალხი ამ სანახაობას „ყეენობის კუდის“ სახელით მალულად მაინც მართავდა. ქალაქელი ვაჭრები ორთაჭალაში მიდიოდნენ და მასხარას ტანსაცმელს იცვამდნენ, თავზე ჩაჩს იხურავდნენ და ქეიფობდნენ. ლხინის მონაწილენი ფულს აგროვებდნენ, რომელსაც ვინმე ღარიბი გასათხოვარი ქალის მზითვისათვის ან სხვა საქველმოქმედო საქმიანობისათვის იყენებდნენ. ქეიფობდნენ დაღამებამდე და ჩირაღდნებით ხელში, ზურნითა და „კინტაურის“ ცეკვით ქალაქში ბრუნდებოდნენ.

ქალაქის ინტელიგენცია მხარს უჭერდა ყეენობის შენარჩუნებას.

ასე შეავსო ხალხმა ახალი შინაარსით ეს ძველი დღესასწაული და გამოიყენა თავისი მიზნებისათვის.

დღესასწაულის გუნებისათვის

ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულმა უკვე XIX ს. მიიპყრო ქართველ მოღვაწეთა და მკვლევართა ყურადღება. ამ დროის პერიოდიკის ფურცლებზე გვხვდება რ. ერისთავის, გ. წერეთლის, ალ. ხახანაშვილის, მ. აბრამიშვილის და სხვათა ნარკვევები, რომლებშიც დღესასწაულის აღწერასთან ერთად მისი ახსნის ცდებია მოცემული. ამ ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორად შენიშნეს ბერიკაობის თავდაპირველი წარმათული ბუნება. დღესასწაულის შესწავლა შემდგომში განსაკუთრებით გაღრმავდა საბჭოთა მკვლევართა — კ. კეკელიძის, ს. მაკალათიას. ივ. ჯავახიშვილის, დ. ჯანელიძის, ვ. ბარდაველიძის და სხვ. შრომებში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა გვარწმუნებს, რომ ბერიკაობა-ყეენობა არ არის წარმოშობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა დღეობა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, არამედ ყეენობა ბერიკაობის საფუძველზე ჩამოყალიბებული დღესასწაულია რომელშიაც ბერიკაობიდან მომდინარე წარმართული ხასიათის ელემენტებთან ერთად ქართველი ერის ისტორიული წარსულის ცალკეული ეპიზოდებიც აისახა.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, ბერიკაობა-ყეენობის ძირითად მიზანს ბუნების აღორძინება და ნაყოფიერება-სიუხვის მოპოვება შეადგენდა, იგი უშუალოდ ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი აგრარული დღესასწაული იყო. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ მასში უხვადაა წარმართული იდეების ანარეკლი. დღესასწაულში გვხვდება ქრისტიანული რელიგიის დანაშრევები, იქ უძველესი ხალხური თეატრის საწყისებიც იძებნება.

ბერიკაობა-ყეენობის მსგავსი წარმართული დღესასწაულები, სხვადასხვა ცხოველებად შენიღბულ პერსონაჟთა მონაწილეობით, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთსა და ელინურ სამყაროში, ასეთებია—მესოპოტამიური თამუზისა და მიტანიური იშთარის, ფინიკიური ადონისის და ასტრატას, მცირე აზიაში ხეთე-

ბის ტელეპინუსის, ფრიგიელების ატისის, ბერძნული დემეტრასა და დიონისეს მრავალდღიანი მისტერიები. ანალოგიური ხასიათის დღესასწაულები მასობრივი კარნავალების სახით ევროპის ხალხთა ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა. სწორედ ამ რელიგიური მონაცემების შედარებითი ანალიზის შუქზე იხსნება ბერიკაობა-ყეენობის ადრინდელი ბუნება.

ბერძნულ მითოლოგიაში დიონისე ბერიკას მსგასად სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. ყველაზე მეტად იგი ცნობილია თხის გამოსახულებით. დიონისიების მონაწილენი თხის ტყავებს ატარებდნენ, თხისავე ნიღბებს, რქებს და ჩლიქებს იკეთებდნენ, სახეს შავად იღებავდნენ და ასე მორთულები ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ასე იყო თამუზისადმი მიძღვნილ საგაზაფხულო დღესასწაულზეც. ერთ-ერთი მონაწილე თხის ტყავითა და რქებით იყო წარმოდგენილი და სახეზე შავი ნაბდის ნიღაბი ეფარა. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ამ დიდი მასშტაბის აგრარულ დღესასწაულზე შავი ფერი მიწის განმასახიერებელ ღვთაებას უკავშირდება. საგულისხმოა, რომ აგრარული კულტის ყველა პერსონაჟი, რომელიც მიწის უხვი მოსავლის მიღებას ემსახურებოდა, შავი სახის იყო.

ყურადღებას იპყრობს დღესასწაულის დამახასიათებელი ორგიზმიც, რომელიც ადამიანის გარესამყაროზე ზემოქმედებას გულისხმობს. მთავარი მოქმედი პირის ქორწინებაც და დაკარგული დედოფლის ძებნა ბერიკას მიერ ამ სურვილების აშკარა გამოვლინებაა. ასევე, ბერიკას სიკვდილი, დატირება და გაცოცხლება მთელ აღმოსავლეთში გავრცელებული წარმოდგენა იყო ნაყოფიერების ღვთაების სიკვდილისა და მისი მკვდრეთით აღდგომის თაობაზე.

ბუნების აღორძინებისათვის განკუთვნილ დღესასწაულებში ნაყოფიერების გამომსახველ პერსონაჟს კლავდნენ იმისათვის, რომ გაცოცხლების შემდეგ განაყოფიერების ძალა გარესამყაროსათვის გადაეცა.

რაც შეეხება ყეენის წყლით დასველების წესს, იგი წვიმის გამომწვევ და განაყოფიერების მაგიურ აქტად არის მიჩნეული. ივ. ჯავახიშვილს ლაზარობის დღესასწაულის მთავარი პირის წყალში ჩაგდება ან მისი დასველება წარმართობის დროინდელ ღრუბელთა ბატონისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ მოქმედებად მიაჩნია.

ორიოდე სიტყვა იმ ცეკვების შესახებ, რომლებიც ბერიკაობა-ყეენობის დროს სრულდებოდა. აღნიშნული ითიფალური ცეკვები,

წრიული და ორსართულიანი ფერხულები ბუნების ძალების განდიდებისათვის, საქონლის, მოსავლის ნაყოფირებისა და ადამიანის ბედნიერებისა თუ გამრავლებისათვის იყო გამიზნული.

საყურადღებოა, რომ უძველეს ხალხებში თხასა და ცხვარს ისევე, როგორც საერთოდ თეთრ ბეწვს, დიდი ნაყოფიერების ძალა მიეწერებოდათ. ამით იყო შეპირობებული ცხვრისა და თხის გამომსახველ პერსონაჟთა და მათი ტყავ-ბეწვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აგრარულ კულტებში.

ბერიკაობა-ყეენობისათვის ძალზე დამახასიათებელი ფალიური კულტიც, გამოვლენილი დღესაწაულის, ნივთიერი ატრიბუტებისა და სექსუალური რიტუალების სახით, ორგანულად გამომდინარეობს მისი არსიდან. ამ საგაზაფხულო დღესასწაულის მიზანს ხომ ბუნების ნაყოფიერება-აღორძინება წარმოადგენდა.

თვითონ განსაჯეთ, თუ რამდენად ახლოა ერთმანეთთან ბერიკაობა-ყეენობა და ელინურ სამყაროში თუ ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული დღესასწაულები; ორივე დღესასწაულში შესულია ბუნების აღორძინების ღვთაებათა ციკლისათვის დამახასიათებელი ელემენტები: რიტუალები, ნიღბები, ტანსაცმელი, პერსონაჟთა ფუნქციები. ორივე დღესასწაული აღმოცენებულია მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების იდეის გავლენით, ეს კი სხვასახვა ხალხების რწმენა-წარმოდგენათა უშუალო კონტაქტებზე, მათ შეხედულებათა მსგავსებაზე დამაჯერებლად ლაპარაკობს.

სადღეისოდ დღესასწაულის ბევრი საკითხია ამოუცნობი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა დაედგინათ, რომ ნაყოფიერებისა და აღორძინების დღესასწაულის მთავარ პერსონაჟს — ბერიკას ფუნქციური კავშირი აქვს ქართულ ღვთაება ბოსელ-ბოსლასთან, რომელიც ადამიანისა და საქონლის განაყოფიერება-გამრავლების და საერთოდ მიწის ნაყოფიერების მფარველ ღვთაებად ითვლება.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს დღესასწაული იწვევს ცხოველ ინტერესს. როგორც ვხედავათ, იგი სცილდება ეროვნული კულტურის ფარგლებს. მის მიმართ არც სხვა ქვეყნების მეცნიერები არიან გულგრილნი.

ასეთია თავდაპირველი ხასიათი ამ დღესასწაულის, რომლის აღდგენა და დაცვა ზედმიწევნით შეესატყვისება ჩვენი ხალხის ზნეობრივ კოდექსს — დაიცვას წინაპართა მიერ დანატოვარი განძი.

ცნობილია, რომ ახალი კულტურა მხოლოდ ძველის მიღწევათა გამოყენების შედეგად იქმნება, ამიტომ არც ძველი ტრადიციები, აბსოლუტირებაა მართებული და არც მათი უარყოფა. მზრუნველობა კულტურული მემკვიდრეობისადმი დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი ამოცანაა, რაც კარგად აისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეტად მნიშვნელოვან დადგენილებაში. ამ საკითხს ცალკე მუხლი მიეძღვნა ჩვენს ახალ კონსტიტუციაში.

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ი. ჭყონია
ისტ. მეცნ. კანდ. გ. ჯავახიშვილი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

ИБ 1135

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ნ. თენეიშვილი
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 14.12.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.3.1980;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 3.3;
სააღრიცხვო — საგამომცემლო თაბახი 2.1;
ფასი 25 კაპ.

უე 01034; ტირაჟი 4000; შეკვეთა № 4160

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Джульетта Акакиевна Рухадзе

НАРОДНЫЕ ПРАЗДНИКИ И СОВРЕМЕННОСТЬ

(на грузинском языке)